ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 591191525

N 62
01/02/2018

62-07-3-201802010911

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ბესიკ,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 30 იანვარს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

დანართი: სხდომის ოქმი №4- 4(ოთხი) ფურცელი

დასკვნა №4- 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

გიორგი ჩახვაძე

კომისიის თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №4

ქ.ლანჩხუთი **30.01. 2018 წელი**

სხდომას ესწრებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე.

კომისიის წევრები: კარლო კვიტაიშვილი, ზაალ სანაძე, ზაზა წულაძე, ზურაბ კუკულავა, ოთარ პატიეშვილი, ალექსანდრე მახათაძე, ირაკლი მარშანიშვილი.

მოწვეული: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მამუკა ვადაჭკორია, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე, მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატი: თორნიკე ტიკაძე

კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

2.,,ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვაძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.
მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა მამუკა ვადაჭკორიამ. მან აღნიშნა, რომ სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 კვადრატული მეტრი მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში ,,მიწის ნორმატიული ფასი) გამოანგარიშდება შემდეგი ფორმულის მიხედვით:
CN=IMGX ITL X CX K, სადაც:
1.CN არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი.
2.IMG არის ქ.მაკრომდებარეობის ინდექსი,რომელიც უდრის 0,38-ს.
3.ITL ის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი,რომელიც უდრის ერთს.

4.C არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0, 24 ლარს.
5.K არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა შეადგენს 100.
-პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ლანჩხუთის მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი კუთხით: CN=0,38 X1 X 0,24X 100=9,12
-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქალაქ ლაჩხუთის დადგენილი ფასის 35%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 3,19 ლარს.
-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 25%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 2,28 ლარს.
-სოფელ მალთაყვიდან მდინარე სეფისწყალამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუსში არსებულ დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 100%-ის ოდენობით,რაც შეადგენს 9,12 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება ამ წესის მე-3,მე-4 და მე-6 მუხლებით დადგენილი ნორმები.
-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში ,,საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №407 დადგენილებით განსაზღვრულ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) გარდა დანართის მე-2 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული ტერიტორიებისა, მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქ. ლანჩხუთში დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 4,56 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება ამ წესის მე-3,მე-5 მუხლებით დადგენილი ნორმები.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:
დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა წარმოდგენილი სახით შენიშვნების გარეშე.
სხდომის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვაძემ** კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: ,,ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა მამუკა ვადაჭკორიამ. მან აღნიშნა, რომ საწარმოსთვის/ორგანიზაციისათვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების ღირებულების 1 პროცენტი. ამ მუხლის (**მუხლი 1**) მიზნებისათვის დასაბეგრი ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ღირებულება,რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევაში მხოლოდ უძრავ ქონებასთან მიმართებით უნდა გაიზარდოს:
ა) 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე - 3 ჯერ;
ბ) 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე - 2 ჯერ
გ) 2004 წელს მიღებულ აქტივებზე -1,5- ჯერ
დ) იმ აქტივებზე, რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს - 3 - ჯერ

-საწარმოსთვის/ორგანიზაციისათვის,ლიზინგით გაცემულ დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 1პროცენტი. ამ მუხლის მიზნებისათვის ლიზინგით გაცემული დასაბეგრი ქონების საბალანსო ღირებულება არის ქონების გაცემის მომენტისათვის არსებული ღირებულება, ხოლო ყოველ მომდევნო წლისათვის ქონების ღირებულებად ითვლება აღნიშნული ქონების ნარჩენი საბალანსო ღირებულება, რომელიც ამ ქონებას ექმნებოდა ლიზინგით არგაცემის შემთხვევაში.
-ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთია:
ა) 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0,2 პროცენტი.

ბ) 10 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის- საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 1.0 პროცენტი.

-განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და ტყის მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით ლარებში.

სათიბი (ბუნებრივი და გაკულტურებული) ---20.00

საძოვარი (ბუნებრივი და გაკულტურებული)---16.00

სახნავი (მათ შორის, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, საბაღე,საბოსტნე,)---73.00

-განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირისათვის (შესაბამისი ლიცენზიის გაცემის საფუძველზე) გამოყოფილ მიწებზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი ერტ ჰექტარზე 3 ლარით.

ქონების გადასახადიდან განთავისუფლდეს:

ა) საცხოვრებელ სახლებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები,რომლის ფართობი არ აღემატება 600 კვ.მ-ს

ბ)ავტოფარეხზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები,რომლის ფართობი არ აღემატება 24კვ.მ-ს

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება

დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა წარმოდგენილი სახით შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა.

დეპუტატმა **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ ქალაქის ცენტრში აფთიაქ PSP-მიმდებარე ტერიტორიაზე აუცილებელია ცხაურის მოწყობა.

დეპუტატმა **კახა კვიტაიშვილმა** აღნიშნა,რომ ქ. ლანჩხუთში დიდ პრობლემას წარმოადგენს გარე ვაჭრობის მოწესრიგების საკითხი. ამიტომ მერიის შესაბამისმა სამსახურებმა მკაცრად უნდა შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქცია და კონტროლზე აიყვანონ პრობლემური საკითხი,რასაც კომისიის წევრებმაც მხარი დაუჭირა.

კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩახვაძე** თვლის, რომ ბიუჯეტში სახსრების დაზოგვის მიზნით უპოვართა სასადილოსათვის გამოყოფილი თანხა, გარე განათებაზე გამოყოფილი თანხა გავიდეს ტენდერზე.

ასევე კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩახვაძე** თვლის, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და განვითარების ცენტრი გაუქმდეს, ვინაიდან მერიაში იქმნება ტურიზმის განყოფილება და აქ უნდა მოხდეს იმ ადამიანების დასაქმება, რომლებიც შერჩეული იქნებიან შესაბამისი განათლების მიხედვით.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა
და ბუნებრივი რესურსების საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: **გიორგი ჩახვაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის დასკვნა №4

30. 01. 2018 წელი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 30 იანვარს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

2.,,ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

დღის წესრიგის პირველი საკითხი ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა წარმოდგენილი სახით შენიშვნების გარეშე.
მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი ,,ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა წარმოდგენილი სახით შენიშვნების გარეშე.

მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.

**საკრებულოს ეკონომიკის, ქონების
მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე:** გიორგი ჩახვაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

30.01. 2018 წელი
15:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	გიორგი ჩახვაძე	15 00	
2	ზაზა წულაძე	15 00	
3	კარლო კვიტაიშვილი	15 00	
4	ალექსანდრე მახათაძე	15 00	
5	ზაალ სანაძე	15 00	
6	თორნიკე ტიკაძე		
7	ოთარ პატიეშვილი	15:00	
8	ზურაბ კუკულავა	15:00	
9	ირაკლი მარშანიშვილი	15 00	